ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N1

18.01.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასრულება.
2. მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში საგრანტო განაცხადებზე კონკურსის გამოცხადების საკითხები.
3. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების საკითხი.
4. მ. მესტვირიშვილის შემოქმედებითი შვებულების თარიღის შესწორება.
5. ლილი ხეჩუაშვილის შემოქმედებითი შვებულება.
6. ასოც. პროფ. ვ, ნადარეიშვილის სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება.
7. პროფესორების დატვირთვისა და ანაზღაურების საერთო საფაკულტეტო პოლიტიკის შემუშავების საკითხი
8. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე - დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

ნანა სუმბაძე

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, ანასტასია ქიტიაშვილი;

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, ლია ჩხიკვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, მედეა დესპოტაშვილი, ირინე ჟვანია, შორენა მამუკაძე, მარინე კაკიაშვილი - ჯაღიაშვილი, ლია ჩხიკვიშვილი, ია აფთარაშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი:

იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიტიაშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 21 წევრი.

განიხილეს:

1.მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასრულება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს განუცხადა, რომ დასრულებულია ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხუთივე პროექტი. წარმოდგენილია როგორც შუალედური, ისე საბოლოო სამეცნიერო და ფინანსური ანგარიში.

საბჭომ კენჭი უყარა მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასრულებულად ცნობას.

მომხრე: 21
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

2. მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში საგრანტო განაცხადებზე კონკურსის გამოცხადების საკითხები.

ა) პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ კვლავ იმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო ფორუმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლების მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო მოღვაწეობის ფარგლებში არსებულ კვლევებზე დაყრდნობით მოხსენების წარმოდგენას. კონკურსი გამოცხადდება 30 იანვრამდე, ხოლო ნაშრომების წარდგენის ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 28 თებერვლისა. თავად ფორუმის ჩატარების თარიღია 23 – 24 აპრილი. მომხსენებელმა შესთავაზა საბჭოს, რომ კონკურსში მონაწილეობისათვის სპეციალურმა 8 პროფესორისგან შემდგარმა კომისიამ არაუგვიანეს 10 თებერვლისა წარმოადგინოს საკონკურსო კრიტერიუმები.

საბჭომ ცნობად მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო ფორუმის ჩატარების პროცედურები და კენჭი უყარა წინადადებას, საკონკურსო კომისიის მიერ ფორუმის კონკურსის კრიტერიუმების წარმოადგენის ვადად განისაზღვროს 10 თებერვალი.

მომხრე: 21
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

ბ) პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს განუცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ წელსაც განისაზღვრა თანხები ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში პროექტების დასაფინანსებლად. კერძოდ, 75 000 ლარი გამოყოფილია ფაკულტეტის შიდა პროექტებისათვის, ხოლო 10000 ლარი კი ფაკულტეტებსშორისი ინტერდისციპლინური გრანტებისათვის. კვლავ დადგა დღის წესრიგში მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში საგრანტო დაფინანსების პროცედურების განხილვის საკითხი. ვინაიდან საგრანტო პროექტი 8-თვიან პერიოდს მოიცავს, კონკურსში გამარჯვებულ

პროექტთა გამოვლენა უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 15 აპრილისა. მომხსენებელმა სთხოვა საბჭოს წევრებს განესაზღვრათ არსებული თანხის (75 000) პირობებში გრანტის განაწილების მოდელი - ერთიანი, საფაკულტეტო შერჩევა, მსგავსად გასული წლის გამოცდილებისა, თუ ფაკულტეტზე არსებულ თითოეულ ინსტიტუტზე მოხდეს თანხის თანაბრად გადანაწილება.
აზრი გამოთქვეს: პროფ. თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია ინსტიტუტებს შორის საგრანტო თანხის თანაბრად გადანაწილება, რადგან საუკეთესო და ხარისხიანი პროექტის გამოვლენის ალბათობა მცირდება. თანაც ხარისხიანი კვლევის შესრულება მცირე თანხით რთულად განსახორციელებელია. ასოც. პროფესორმა ანი ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ კარგია მოისინჯოს ახალი სტრატეგია, თანხა თანაბრად გადანაწილდეს ინსტიტუტებზე. ეს სტიმულს მისცემს ინსტიტუტების განვითარებას, ასევე სტუდენტების აქტიურად ჩართვას კვლევაში.

შესაბამისად, საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას შემდეგი წესით:
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი გრანტი განაწილდეს კონკურსის წესით ერთიანი, საფაკულტეტო შერჩევით.

მომხრე: 9
მოწინააღმდეგე:11
თავი შეიკავა: 0

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი გრანტი განაწილდეს თანაბრად ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ ინსტიტუტზე.

მომხრე: 11
მოწინააღმდეგე: 9
თავი შეიკავა: 0

საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი განაწილდება თანაბრად, ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ ინსტიტუტზე.

3. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების საკითხი.

ა) პროფესორ ლალი სურმანიძემ განუცხადა საბჭოს წევრებს, რომ, შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებისა, საჭიროა შეირჩეს კომისია, რომელიც განსაზღვრავს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტის საკონკურსო წესით განაწილებისათვის კრიტერიუმებს. სამართლიანი იქნება, თუკი კომისიის შემადგენლობაში თითოეული ინსტიტუტს ერთი წარმომადგენელი ეყოლება. საბჭომ მოიწონა წინადადება. სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ, კრიტერიუმების შემუშავების კომისიის წევრებად დასახელა შემდეგი პროფესორები:
ირინე ჟვანია, ანი ქიტიაშვილი, თეონა ლოდია, მზია წერეთელი, გოგი გორგიძე, ეთერ ღვინერია. კომისიამ შეფასების კრიტერიუმები უნდა წარმოადგინოს 10 თებერვლამდე. პრეტენდენტები წინასწარ უნდა იცნობდნენ შეფასების კრიტერიუმებს.

საბჭომ კენჭი უყარა კრიტერიუმების შემუშავების კომისიის წევრთა წარმოდგენილ კანდიდატურებსა და კრიტერიუმების წარმოდგენის ვადას და ერთხმად დაამტკიცა.
მომხრე- 21
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0
ბ) საბჭომ იმსჯელა შერჩევის პროცედურაზე. ი. ჟვანიამ, ა. ქიტიაშვილმა, ე. ღვინერიამ, ი. პეტრიაშვილმა აღნიშნეს, რომ პროექტების შესაფასებლად არ არის საჭირო ერთიანი საფაკულტეტო კომისია, არც გარედან შემფასებლების მოწვევა. ეჯობს ინსტიტუტებმა გადაწყვიტონ როგორი იქნება შერჩევის პროცედურა. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ ფაკულტეტის საბჭომ უკვე მიიღო შეფასების საერთო კრიტერიუმების შესახებ გადაწყვეტილება. მაშინ, უკეთესი იქნება, შემუშავებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობის პირობებში, თავად ინსტიტუტები განსაზღვრავდნენ კონკურსზე შემოტანილი პროექტების შერჩევის ფორმატი.
საბჭომ გაიზიარა პროფესორ თამარ გაგოშიძის მოსაზრება, კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და ერთხმად დაამტკიცა.
მომხრე- 21
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

გ) პროფესორმა ლალი სურმანიძემ განსახილველად წარუდგინა საბჭოს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტის დადგენილების მესამე და მეოთხე ნაწილი, რაც ითვალისწინებს საკონკურსო პროექტის ფორმატსა და დოკუმენტების წარდგენის პირობებსა და პროექტის შესრულების ვადებზე და მიიღეს შემდეგი ფორმით:
საპროექტო განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონული და ბეჭდური სახით 2016 წლის 22 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით.
წარდგენილი პროექტების ტექნიკური შემოწმება განხორციელდეს 29 თებერვალი -2 მარტის პერიოდში.
ფაკულტეტის სპეციალისტებთან კორექტირებული პროექტების მიღების ვადად განისაზღვროს პერიოდი 2016 წლის 7-9 მარტი.
საკონკურსო პროექტების შეფასება მოხდება 9 მარტი- 16 მარტის პერიოდში.
საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემმუშავებელი კომისია წარადგენს შემუშავებულ კრიტერიუმებს არაუგვიანეს 10 თებერვლისა და საჭიროების შემთხვევაში იგივე კომისია შეასრულებს სააპელაციო კომისიის ფუნქციას.
ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე 17 მარტს, ხოლო საბოლოო ინფორმაცია - 24 მარტს.
სააპელაციო პერიოდად განისაზღვროს 16-23 მარტი.
პროექტის შესრულების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) პროექტის დასაწყისი – არაუადრეს 2016 წლის 15 აპრილისა;
ბ) პროექტის დამთავრება – არაუგვიანეს 2016 წლის 26 დეკემბრისა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებებს და დაამტკიცა ერთხმად:
მომხრე- 21
წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -0

4. მ. მესტვირიშვილის შემოქმედებითი შვებულების თარიღის შესწორება.

სხდომის თავჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ უკანასკნელ საბჭოს სხდომაზე ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დავუჭირეთ მხარი ასოცირებული პროფესორის, მაია მესტვირიშვილისათვის შემოქმედებითი შვებულების აღების საკითხს. სამწუხაროდ, შემოტანილ განცხადებაში ტექნიკური ხარვეზი აღმოჩნდა - შვებულების თარიღი არასწორად იყო მითითებული (20–იანვრიდან 20 მაისის ჩათვლით). ქ-ნმა მაიამ საბჭოს წინაშე განცხადების ჩასწორებული ვერსია წარმოადგინა, რომელიც ითვალისწინებს შემოქმედებითი შვებულების ვადად პერიოდს - 20 იანვრიდან 20 ივნისის ჩათვლით. შესაბამისად, საჭიროა მ. მესტვირიშვილის შემოქმედებითი შვებულების თარიღის განსაზღვაში შევიდეს შესწორება და დამტკიცდეს შემოქმედებითი შვებულების ვადად პერიოდი - 20 იანვრიდან 20 ივნისის ჩათვლით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას და დაამტკიცა ერთხმად:
მომხრე- 21
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

5. ლილი ხეჩუაშვილის შემოქმედებითი შვებულება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მის სახელზე შემოვიდა ასისტ. პროფესორის, ლილი ხეჩუაშვილის განცხადება 6-თვიანი ანაზღაურებადი, შემოქმედებითი შვებულების თაობაზე. ის 2016 წლის 27 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით ფულბრაიტის 6-თვიანი კვლევითი გრანტის ფარგლებში მიემგზავრება აშშ-ში, დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტში კვლევითი პროექტით: მასტერ ნარატივი: ცხოვრების ისტორიებში განფენილი კულტურა.

ამასთან დაკავშირებით, დეკანმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფაკულტეტი მოხარულია ჩვენი მკვლევრების ამ წარმატებით და ყოველთვის მხარს დაუჭერს სამეცნიერო მუშაობის საზღვრების გაფართოებას, თუმცა, სასურველი იქნება ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებულმა თითოეულმა ინსტიტუტმა წლის დასაწყისშივე წარმოადგინოს დეკანის სახელზე აკადემიური შტატის მქონე პროფესორების სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებების გრაფიკი, რაც გაუადვილებს ფაკულტეტს ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესის ხარისხიან მართვას.

საბჭომ ცნობად მიიღო პროფესორ თამარ გაგოშიძის ინიციატივა და კენჭი უყარა ასისტენტ პროფესორის, ლილი ხეჩუაშვილის თხოვნის დაკმაყოფილებას 6-თვიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების თაობაზე 2016 წლის 27 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით.

მომხრე- 21
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

6. ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილის სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ასოც. პროფესორი, ვ. ნადარეიშვილი შემოვიდა საბჭოს წინაშე განცხადებით, დამტკიცდეს მისი ხელმძღვანელობით შექმნილის სამაგისტრო პროგრამა „იურიდიული ფსიქოლოგია" წარმოდგენილი სახით. აღნიშნული პროგრამა განკუთვნილია ა) ფსიქოლოგიის; ბ) სამართალმცოდნეობის; გ) სოციოლოგიის; დ) სოციალური მუშაკის; ე) განათლების; ვ) სოციალური მეცნიერებების სისტემაში შემავალ სპეციალობებში ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებისთვის;

პროგრამის ძირითადი მიზანია, სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ პიროვნებისა და ქცევის აღწერის, ახსნის, პროგნოზირებისა და კორექციის უნარები. ეს უნარებიგამოყენებული იქნება ნორმატიული და დევიაციური აქტივობის პრევენციასთან, რეაბილიტაციასთან, აღმზრდელობით და გამასწორებელ მუშაობასთან, პირობითი სასჯელის გამოყენებასთან, ვადამდე გათავისუფლებასთან, სასამართლო,საგამოძიებო და საადვოკატო პრაქტიკასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას და დაამტკიცა ერთხმად:

მომხრე- 21

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -0

7. პროფესორების დატვირთვისა და ანაზღაურების საერთო საფაკულტეტო პოლიტიკის შემუშავების საკითხი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ.გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ პროფესორების დატვირთვისა და ანაზღაურების მიმართულებით გეგმავს სერიოზულ ცვლილებებს, რათა აკადემიური შტატის მქონე პროფესორ-მასწავლებლებს გაუჩნდეთ მოტივაცია სავალდებულო საათობრივი დატვირთვის გარდა აიღონ დამატებითი საათები, რომელიც მათ აუნაზღაურდებათ დადგენილი წესის მიხედვით. როგორც მომხსენებელმა განაცხადა, აღნიშნულ ცვლილებაზე ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფი უკვე მუშაობს და მალე წარმოადგენს პროფესორების დატვირთვისა და ანაზღაურების საერთო საფაკულტეტო ნორმებში ცვლილებების შესატან პროექტს.

საბჭომ ცნობად მიიღო პროფესორ თამარ გაგოშიძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

სხვა:

8. კურიკულუმის სტრუქტურისა და მისი სრულყოფის შესახებ ასოცირებული პროფესორის გიორგი გოროშიძის განცხადება. ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს წარმოუდგინა თავისი ხედვა მომავალი აკრედიტაციისთვის საბაკალავრო კურიკულუმის სტრუქტურის პრობლემურობის გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა პრობლემურია არასპეციალისტებისათვის ფსიქოლოგიის ზოგადი/შესავალი კურსის საუნივერსიტეტო სივრციდან გაქრობის საკითხი, რასაც ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმების შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს. „დარგში შესავალმა" და სხვა არჩევითმა კურსებმა აკრედიტაცია უნდა გაიაროს სპეციალურ ფაკულტეტზე. ამიტომ სხვა ფაკულტეტებზე წასაკითხი საგნები უნდა იყოს ასახული უზრუნველმყოფი ფაკულტეტების კურიკულუმებში და იქიდან უნდა მოხდეს სხვა ფაკულტეტების სტუდენტების მიერ უზრუნველმყოფი ფაკულტეტის მიერ ასარჩევად

[illegible]ებული საგნების არჩევა. გ. გოროშიძემ საბჭოს შესთავაზა კურიკულუმის მოწყობის [illegible] მოდელი და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ კურიკულუმების სტრუქტურის 4 შესაძლო, არაწინააღმდეგობრივი ვარიანტიდან ერთ-ერთის შერჩევა და გამოყენება ყველაზე ოპტიმალური იქნება.

1) **ტრადიციული კურიკულუმი (მეიჯორი + მაინორი).**

კურიკულუმის მოცემული სტრუქტურის გამოყენების შემთხვევაში ყველა ფაკულტეტს უნდა დაევალოს, რომ ძირითად სპეციალობაში - „მეიჯორში" - არჩევითი საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობაში აუცილებელ კომპონენტად ფიგურირებდეს მეცნიერების დარგებში შესავალი კურსები

2) **სამკომპონენტიანი კურიკულუმი**

კურიკულუმი შედგება 3 ნაწილისგან - მეიჯორის პროგრამა + მაინორის პროგრამა + არჩევითი საგნები არასპეციალისტებისთვის.

3) **ორი ნაწილისგან შემდგარი კურიკულუმი**

კურიკულუმი შედგება 2 ნაწილისგან - სპეციალისტების ნაწილისგან (ანუ მეიჯორის პროგრამა) და არასპეციალისტების ნაწილისგან (ანუ მაინორის პროგრამა + არჩევითი საგნები არასპეციალისტებისთვის).

4) **ორი კურიკულუმი**

იქმნება 2 კურიკულუმი: 1) კურიკულუმი, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ მეიჯორის პროგ-რამას, 2) კურიკულუმი, რომელიც შეიცავს მაინორის პროგრამას და არჩევით საგნებს არასპეციალისტებისთვის.

ასეთი სტრუქტურების მქონე კურიკულუმების შემუშავება და განხორციელება ძალიან მარტივია და პრაქტიკულად დროისა და ენერგიის არავითარ საგრძნობ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u>

თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ორი ნაწილისგან შემდგარი კურიკულუმი (მე-3 ვარიანტი) უფრო მოწესრიგებულად გამოიყურება და მასზე სჯობს მსჯელობა **ლ. ჩხიკვიშვილმა** ხაზი გაუსვა სხვა ფაკულტეტებისთვის ფსიქოლოგიის შესავლის 5 კრედიტიანი კურსის შექმნის საჭიროებას, რომელიც ამჟამად აღარ ფიგურირებს ფაკულტეტის კურიკულუმში, რაც პრობლემას აჩენს სხვა ფაკულტეტების სტუდენტების მიერ ამ საგნის არჩევის საკითხში.

საბჭომ მოიწონა და გაზიარა გ. გოროშიძის ინიციატივა კურიკულუმის სტრუქტურის მოწესრიგების საჭიროების შესახებ და გამოითქვა მოსაზრება, რომ გაიმართოს კონსულტაციები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

დაადგინეს:

1. დასრულებულად გამოცხადდეს მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო ფორუმის კონკურსისათვის ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 10 თებერვალი.

3. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტის განაწილების წესი შეიცვალოს და მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი განაწილდეს თანაბრად, ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ ინსტიტუტზე.

4. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტის განაწილების კრიტერიუმი შემუშავდეს სპეციალური კომისიის მიერ შემადგენლობით : ირინე ჟვანია, ანი ქიტიაშვილი, თეონა ლოდია, მზია წერეთელი, გოგი გოროშიძე, ეთერ ღვინერია.

5. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში კომისიის მიერ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე გამარჯვებული პროექტის განსაზღვრის წესი და ფორმატი შეიმუშავონ თავად სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტებმა.

6. დამტკიცდეს საბჭოს დადგენილება მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ვადებისა და წარდგენის წესის შესახებ. დადგენილების მესამე და მეოთხე ნაწილი - პროექტის ფორმატი, დოკუმენტების წარდგენის პირობები და პროექტის შესრულების ვადები დამტკიცდეს საბჭოზე წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით.

7. განისაზღვროს ასოცირებული პროფესორის, მაია მესტვირიშვილის სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების ვადად პერიოდი - 20 იანვრიდან 20 ივნისის ჩათვლით.

8. ეშუამდგომლოს ასისტენტ პროფესორ ლილი ხეჩუაშვილს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების თაობაზე და განისაზღვროს სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების ვადად პერიოდი 2016 წლის 27 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით.

9. დამტკიცდეს ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილის სამაგისტრო პროგრამა „იურიდიული ფსიქოლოგია" წარმოდგენილი სახით და ეშუამდგომლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში განსახილველად.

10. კურიკულუმის სტრუქტურის მოწესრიგების საკითხის საბოლოო გადაწყვეტისთვის ფაკულტეტის კომპეტენციის არასაკმარისობის გაცნობიერების გამო დაიწყოს კონსულტაციები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რათა მოხერხდეს ერთიანი არაწინააღმდეგობრივი პოზიციის შემუშავება კურიკულუმის სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი

18. 01. 2016